ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

სხდომა

ო ქ მ ი N4

26 აპრილი

2023 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ. სამტრედია 26 აპრილი,

2023 წელი.

მიმდინარე წლის 26 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, აკაკი მინაშვილი,ბექა თევზაძე, გოჩა არველაძე, გივი ჯულაყიძე, დავით ჯანელიძე, ვაჟა სტურუა, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ ცომაია, ჯონი ახობაძე,

მოწვეული სტუმრები:

1 .ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორი ელგუჯა კალაძე.

2 .ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ხელმძღვანელი ივანე კილტავა.

3. .ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის“ ხელმძღვანელი პავლე კაპანაძე. ბუღალტერი - ნანა ხუჭუა.

4. .ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საფრენბურთო კლუბი ,,ჯიკოს“ ბუღალტერი ნინო რუხაძე.

5. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი მარინე ანდღულაძე.

6. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი მედეა ლეჟავა.

7. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.63223552 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2023 წლის პრიგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საფრენბურთო კლუბი ჯიკო“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10(ათი) ხმით დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-622311552 25/04/2023წ. წერილობითი მომართვა. ააიპ „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ ითხოვს საკუთარი შემოსავლების და საკუთარი შემოსავლების ნაშთის 2023 წლის გეგმაში ასახვას და ცვლილების შეტანას

2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.63223552 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის შემოსავლების გეგმაში, კერძოდ სასაფლაოების მომსახურეობიდან და პირუტყვის დაკავებიდან შემოსული თანხით გეგმის ზრდას 15.0 ათ.ლარით და მის გადანაწილებას ხარჯების შემდეგ მუხლებში: 3.0 ათ.ლარის ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯში (ოფისის რემონტისათვის); 3.0 ათ.ლარი - საოფისე ინვენტარის შეძენა; 9.0 ათ.ლარი არაფინანსურ აქტივის ზრდის მუხლი, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული (12 კვ.გენერატორის) შეძენა. ასევე 2023 წლის 1 იანვრისთვის საკუთარი სახსრების ნაშთმა შეადგინა 5.60 ათ.ლარი, ითხოვს აღნიშნული თანხის დაგეგმვას ხარჯების ნაწილში არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი სხვა სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, კერძოდ 6 ერთეული ველოსიპედის შეძენა.

კომისიის წევრებმა ისჯელეს და აზრი გამოთქვეს.

აზრი გამოთქვა: ელგუჯა კალაძემ.

ელგუჯა კალაძე - აღნიშნული თანხით მინდა შევიძინო 6 ველოსიპედი. აქედან 4 ველოსიპედი გათვლილია მეველეებზე, ხოლო 2 ველოსიპედი იმ ჯგუფებზე, რომლებმაც ყოველდღე უნდა შემოიარონ ატრაქციონები და სპორტული სავარჯიშოები.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ზემოაღნიშნული წინადადება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-62231158 25/04/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“-ს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235522 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის გეგმაში ცვლილების შეტანას, კერძოდ საკუთარი შემოსავლების გაზრდას 9.0 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში ითხოვს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების გაზრდას 5.5 ათ.ლარით; კულტურულ, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების 3.5 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნული თანხა მიღებულია საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციიდან სკოლის უკეთ განვითარებისა და ხელშეწყობისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10(ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023წ. 25/04 N62-622231157 წერილობითი მომართვა. ა.(ა)ი.პ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი“ ითხოვს საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235520 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 6.00 ათ ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში ითხოვს ოფისის მუხლში შენობანაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის გაზრდას 2.50 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივის მუხლში სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (რკინის გორგოლაჭებიანი ჭიშკარი) გაზრდას 3.50 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023 წლის 25/04/ N62-6222311596 წერილობითი მომართვა. ააიპ „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საფრენბურთო კლუბი ჯიკო“ ითხოვს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235517 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებას, კერძოდ საკუთარი შემოსავლის გეგმაში საქონელი და მომსახურების ხარჯის შემცირებას 5.0 ათ.ლარით და შესაბამისად სხვა ხარჯში, სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 5.0 ათ.ლარით გაზრდას.

აზრი გამოთქვეს: ტარიელ ცომაიამ, ნინო რუხაძემ და ვაჟა სტურუამ.

ტარიელ ცოამია - რა იგეგმება აღნიშნული თანხით?

ნინო რუხაძე -აღნიშნული თანხით მიდიან სპორტულ ღონისძიებებზე.

ვაჟა სტურუა - 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, ჩვენ ჩავსვით თანხა ეპიკირების შესაძენად სპორტსმენებისთვის. მაინტერესებს მოხდა თუ არა ამ ფორმების შეძენა?

ნინო რუხაძე - აღნიშნული საკითხი განხილვის პროცესშია და აუცილებლად უმოკლეს დროში მოხდება ფორმების შეძენა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო (მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 25/04/ N62-

622231156 წერილობითი მომართვა) ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

მარინე ანდღულაძემ განმარტა, რომ 2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 6,129.3 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 2,082.6 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 4,046.7 ათას ლარს.

2023 წლის 3 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 3,816.0 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 989.0 ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 10,774.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8,102.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 75.2%.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 10,774.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 7,383.1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 68.5% და მთლიანი - შემოსულობების 91.1% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 4,172.0 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 3,264.6 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 907.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის1 . - დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 4,090.6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 3091.9 ათასი ლარი) 998.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. - ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 81.4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 46.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 1.7 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 33.7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 172.7 ათასი ლარი) შედარებით 91.3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2022 წლის 3 თვის ფაქტი - 172.7 ათასი ლარი). 1 დღგ-ს ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შედეგად. გადასახადები 57% გრანტები 32% სხვა შემოსავლები 11% შემოსავლების ხვედრითი წილი სახეობების მიხედვით 2023 წლის 3 თვე

II . **გრანტები** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 2,369.4 ათასი ლარი, მათ შორის: - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩარიცხულია - 257.2 ათასი ლარი; - კაპიტალური ტრანსფერი - 1,325.5 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები); - სპეციალური ტრანსფერი - 686.7 ათასი ლარი (სტიქიის შდეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად); - სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 100.0 ათასი ლარი (საჯარო ფინანსების მართვის

გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე).

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 510.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 841.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 165.0%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 626.8 ათასი ლარი) შედარებით 214.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 174.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 132.1ათასი ლარი) შედარებით 42.8 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 145.6 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 109.3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 36.3 ათასი ლარი. - ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 306.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (280.0 ათასი ლარი) 109.5%-ია. მათ შორის: ⎫ სანებართვო მოსაკრებელი მიღებულია 3.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3.0 ათასი ლარი) 106.7%-ია. ⎫ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 0.2 ათასი ლარი. ⎫ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 258.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (250.0 ათასი ლარი) 103.2%-ია.

⎫ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45.1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 34.8 ათასი ლარი) 10.3 ათასი ლარით მეტია. ⎫ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 7.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (25.0 ათასი ლარი) 31.6%-ია. ⎫ სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 139.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (3 თვის გეგმა - 60.0 ათასი ლარი) 231.8%-ია, ხოლო წლიური გეგმის (2023 წლის წლიური გეგმა - 321,3 ათასი ლარი) 43.3%-ს შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2022 წლის ფაქტი 3 თვე- 83.6 ათასი ლარი) 55.5 ათასი ლარით მეტია.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 67.6 ათასი ლარი, რაც გეგმას (2023 წლის 3 თვის გეგმა - 10.0 ათასი ლარი) 57,6 ათასი ლარით აჭარბებს. IV . არაფინანსური აქტივების კლება არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 719.8 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 6.0 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 0,2 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 5,8 ათასი ლარი) და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 713.8 ათასი ლარი .

2023 წლის პირველ კვარტალში გადასახდელების შესრულების 62.3%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 28.8%-ით მეტია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2022 წლის 3 თვესთან - 4,524.3 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 4,567.6 ათასი ლარით მეტი და შეადგენს 9,091.9

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია პრიორიტეტები:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 3,715.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,619.2 ათასი ლარი) 56.1%-ია;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 728.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,263.9 ათასი ლარი) 57.6%-ია;

განათლება - 1,298.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,520.1 ათასი ლარი) 51.5%-ია;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1,574.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,040.6 ათასი ლარი) 77.1%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 579.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (679.0 ათასი ლარი) 85.3%-ია;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 1,195.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,467.8 ათასი ლარი) 81.4%-ია;

კომისიის წევრებმა იმსჯელა ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მედეა ლეჟავა - „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის N685 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 170,0 ათ. ლარით და სულ განისაზღვრა 1 570,0 ათ.ლარით. შესაბამისად გაიზარდოს 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა (1. სოფ. გომში მდ. შავღელაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციოდ - 25,0 ათ. ლარი; 2. სოფ. ჩხენიშში ე.წ. „ხარებავეების უბანში“ წყლის წისქვილის მიმდებარედ არსებული ხიდის აღდგენა - 35,0 ათ. ლარი; 3. ქ. სამტრედიაში მანჯგალაძის ქ. N43-ის მიმდებარედ მდ. ოჭოფის მარჯვენა სანაპოროს გამაგრებითი სამუშაოებისთვის - 30,0 ათ. ლარი; 4) სოფ. ხიბლარში მიქელაძის ქუჩაზე არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციისათვის - 80,0 ათ. ლარი)

აზრი გამოთქვა: აკაკი მინაშვილმა და მედეა ლეჟავამ.

აკაკი მინაშვილი - როგორც აღნიშნეთ, მდ. ოჭოფის მარჯვენა სანაპოროს გამაგრებითი სამუშაოებისთვის გამოყოფილია - 30,0 ათ. ლარი; მაინტერესებს, რომ დააკონკრეტოთ, კერძოდ რა კეთდება მდ. ორჭოფაზე?

მედეა ლეჟავა - როგორც ჩანს აღნიშნულ ტერიტორიაზე არის ხიდ-ბოგირი და ხდება მისი გამაგრებითი სამუშაო.

სამი თვის შემოსავლების ანალიზიდან გამომდინარე გაიზარდოს და მოწესრიგდეს შემოსავლების გეგმა 701.7 ათასი ლარით, კერძოდ:

- არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს 600.8 ათასი ლარით;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გაიზარდოს - 20.0 ათასი ლარით;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი გაიზარდოს - 8.0 ათასი ლარით;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის - 5.0 ათასი ლარით;
- პროცენტის გეგმა გაიზარდოს - 40.9 ათასი ლარით.
- ჯარიმები, სანქციები და საურავების გეგმა - 27.0 ათასი ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს ხარჯების გეგმა, კერძოდ:

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს 472,4 ათ. ლარით (კაპიტალური გზები და მრავალსართულიანი ბინების ეზოები)
- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს 44,0 ათ. ლარით (სოხუმის ქუჩის სტადიონი 16,0 ათ. ლარით და 28,0 ათ. ლარით საცურაო აუზის შიდა და გარე ტერიტორიის მოწყობა)

- **04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს 63,3 ათ. ლარით. (იანეთის ბაღი)
- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** საქონელი და მომსახურების გეგმა გაიზარდოს - 36,0 ათ. ლარით (სასაფლაოების შემოღობვა -ნაჩხატაური) და არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 80,0 ათ. ლარით (ფარნავაზის ქუჩაზე სკვერის მოწყობა)
- **05 01 02 01 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს 2,5 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 3,5 ათ. ლარით.(სულ - 6.0 ათ. ლარი)

მუხლობრივი ცვლილება :

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 28,6 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა 28,6 ათ. ლარით.
- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 150.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.
- **02 02 03 კოდი გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 28,6 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 12,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **02 02 03 კოდი გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა.
- **02 02 02 კოდი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 30,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა.
- **01 01 01 კოდი სამტრედიის საკრებულოს** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 6,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.
- **01 01 02 სამტრედიის** მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 20,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.
- **02 05 კოდი სოფლის მეურნეობის განვითარების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 50,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

  კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის თავმჯდომარე: */მერაბ უღრელიძე/*

სხდომის მდივანი: */ ლია ყურულაშვილი/*